

345/2
1899

№ II

ԱՐԵՎԵՆ
ՅԱՍՏԱԳՈՅԱՅԻ

ՅԱՍՏԱԳՈՅԱՅԻ




ულრნალ „ჯეჯილისა“

I	გუგული ლექსი—იდ. უ—ძის	3
II	თბილისის პატარა მეწერიმალე მიხაე—ნიკო ხუფიშებილისა	4
III	ნელლო და პატრიში (მოთ. უიდისა) თარ.—ედ. წერეთლისა	13
IV	ნანია ლექსი—დუტუ-ქერჭელისა	22
V	საკეირელი ყმაწეილი—გ. წალიტებელისა	24
VI	ძელი საბერძნეთი (შემდეგი) —ჭოტეს	35
VII	ახალი თეზეოსი (შემდეგი) —ეჭ. მ-სა	46
VIII	საკეირელებანი ბუნებისა № 22 ბერიკობა მცენარეთა— დადო აღნიაშვილისა	52
IX	ენახოთ, ეინ ეის აჯობებს (რუსულიდან) —თან—ენ ჭან—ინისა	55
X	შეილაეი (იგავე)—ად. მ—შვილისა	57
XI	აზრიანი კაცი (რუსულიდან) —თან—ენ ჭან—ინისა . .	59
XII	წერილმანი: აკროსტისი, ხალხური, გამოცანები, უჯრების ამოცანა, რებუსი, სათამაშო გამოცანა და სხვა	60

დაიბეჭდა და მაღე დაურიგდებათ „ჯეჯილის“ 1898 წ.

სელის მომწერლებს პრემია აღნიომი „ბუნება
სურათებში“.



ს ა ზ მ ა ზ ვ ი ლ ი ნ ა ხ ა ბ ი ა ნ ი

კურნალი

იზარდე, მწერა ჯეგილო
დაპურდი, განდი ყანალი..

ღ. ღ.

№ II

ჭელიშვილი გევარე ჭავჭავაძე

ტ ვ ი ლ ი ს ი

ა კ ა ბ ბ ა ვ . ვ . რ ი ც ი ნ ი ნ ა ნ ც ი ს ა || თ ი ც . მ . დ . რ ი ტ ი ა ნ ა . გ ი ლ . ა რ . , ქ . № 41 .
1899.



ნაციონალური ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою Тифлисъ, 10-го Февраля 1899 года.



ბ უ ბ უ ლ ი.

(ცდმოლებული).

უგულმა უთხრა ერთხელ შოშიას:
„დაო! დადახარ ხშირათ ქალაქში,
მითხარ, გეთაყვა, გეცოდინება.
რა აზრი არის იქ ჩეენზე ხალხში...“

მინდა გაეიგო, იქ როგორ მოსწონთ,
თუნდ მაგალითათ, ჩვენი ბულბული?“

— „როცა ის გალობს მთელი ქალაქი
არის უზომოთ აღტაცებული.“

— ტოროლა?! — „იმის გალობაც თურმე
ძრიელ ბევრს მოსწონს, ძრიელ ბევრს ხიბლავს“

— „შევზე ნეტავი რაღას ამბობენ.?“

— „იმასაც ბევრი მაქებარი ჰყავს!“

— „კიდევ მსურს გყითხო: ნეტავი ხალხი
ჩემზე რას ჰყოქრობს, რას ლაპარაკობს?“

— „შენზე კი, დაო, უნდა გამოვტყდე,
სრულიად არეინ არაფერს ამბობს!“

— „და თუ ასეა“ — ბრძანა გუგულმა —

„ამას იქით ხალხს სეირს ვაჩერენდ,
სანამ შევიძლებ, ყოველთვის ჩემს თავს
თეით ეიქებ, ჩემზე ეილაპარაკებ!“

ღ. ფ. ჭ. ჭ.



თვილისის პატარა გენვრიმალე მისახა.

I.



სალი შემოზამებულია, თვილისის ქუჩები განირაღდნენ. მაღაზიებშა პირები დააღეს და თავისი გულმუცელი სინათლეზე გამოიტანეს. ასლა კი ძღვანი დაიმალებარა შიგ, ეოგელისფერი ცხადლივ ჩანს. ვარანცოვას ძეგლთან დაუბოლოვებელი ორონ-ტრიალია: „კონკას“

ზარების წერტუნი, მეტლების „ეი, ეი“-ს უკირილი და სხვა-და-სხვა რახი-რუხი ერთი-ერთმანეთში ირევა, ცხენი-ცხენს მისდევს, კონკა-კონკას, ეტუ-ეტლს, ქვეითა-ქვეითს და არ იცი ვინ-ვის გაასწრებს, ვინ-ვის დაუკანება, ვინ-ვის გაიტანს და ვინ-ვის გადათელს.

ეპთს იმ ქუჩის ნაპირს, ოომელიც ვარანცოვის ძეგლთან გამოდის, რამდენიმე ცარიელი ეტლი ჩამწკრივებულიყო, მუმტარს ელოდენ. ამ მოლოდინში ზოგ მათვანის მიღი მორეოდა და თავი ჩაექინდოა, ზოგნი ერთი-ერთმანეთს თავ-თავის ბედზე ემუსაიფებოდენ. არც მათი ცხე-

ნები ჭყარებავდენ უბრძლოთ დროს: ამათაც ზოგს ჩაეკიდა თავი და თვლებდა და ზოგიც ოცნებას მისცემოდა და გაუნდრევლათ იდგა. ჯენ იცის, იქნება თავის სავსე თოფრაზე ფიქრობდა! ფხიზლათ იურ მხოლოთ პირველთ მეეტლე. ცხვიტათ ესკუპა კოზლაზე და მარჯათ გაიუგრებოდა აქეთ-იქით, რომ მუშტარი არსათ გამოჭპაროდა. დრო-და-დრო ალგირის ტოტებით და თავის წერტლით ცხენებსაც აფხიზლებდა.

-- სანთელი, სანთელი ვის უნდა? — გაიძახოდა გულზე ჰაგარა თუნუქის უუთ ჩამოკიდებული ემაწვილი და ხან ერთ, ხან მეორე მეეტლესთან მივიდოდა და წევილ სანთელს გააწვდიდა.

უკვე ბინდი იურ, როცა მიხაკა თავის „კართოფილის სანთლებით“ სავსე უუთით გამოვიდა სახლიდან და გასწია აჩქარებით ბირჟისკენ, სადაც კიდეც მოასწრო უუთის შენახევრება. დღეს რაღაც ბედნიერი საღამო დაუდგა, სისარულისაგან ფრთები შეესხა, დაფაცურდა, თითის წვერებიდან ნაპერწკლები სცვიოდა.

— სანთელი, სანთელი, დაიძახა კიდევ მიხაკამ და მივიდა ერთ ჩამინებულ მეეტლესთან. მეეტლემ აცხვიტა უურები და თვალების ფშვნეტით მიიხედ-მოიხედა.

— ჟა?.. უჭ, დადამებულა, მთქნარებ-გაზმორით წაილუღლუდა მეეტლემ.— აბა, მაშ ჩქარა გამიკეთე სანთლები.



მისაკო სწრაფათ ეტლის საფეხურზე შეხტა, გააღო ფარნის კარები და გაუკეთა შანდლებში სანთლები, გაჭკროა წუმწუმას და აანთო.

— მზათაა, დაიძახა მისაკომ და ისკუპა მირს. მეეტლებ სანთლის სანათლეზე თავისი კუთვნილი მიუთვალა.

— ავაშენოს, მიაძახა მისაკომ.

— სანთელი, სანთელი ვის უნდა? განაცრომო ისევ მისაკომ. ამოიღო უუთიღან კიდევ წევილი სანთელი და მიეჭროა სხვა მეეტლეს. ახლაც გაჭეიდა.

ამ დროს მოედნის მეორე მხარეს გამოჩნდა ფარნებ აუნთებელი ეტლი. მისაკამ მალე მოჭკროა თვალი და გაექანა მისკენ...

— ფაიტონ! ამავე წუთას გაისმა საიდლანაც ხმა და ბირჟაზე წინ მდგომი ეტლაც გაექანა...

გაქანებული მისაკა და გაქანებული ეტლი დაეჭანენ ერთმანეთს.

— ეი, ეი, ნელა, ნელა! გაისმა აქეთ-იქიდან, მაგრამ გვიანდა იუო, ეტლის თვლებმა ზედ გადუარეს და მისაკა უგრძებობლათ ქარს დაეცა.

თვალის დახამსაძებაზე მოგროვილ სალხში ადარა გაირჩეოდარა. მოედნი შეგუბდა. უოველ მხრივ „კონკები“ და ეტლები შეჩერდენ. გზა არ ვის ჰქონდა გასავლელი; ზოლიციელებს ბევრი მუჯლუგური დასჭირდათ გულ წასულ მისაკამდის ძისაღწევათ. მისაკა მოსულიერდა. მისუსტე-

ბული, თავისწევეტით ფეხზე უჩვენებდა და ტკივილისაგან
მწარეთ იღმიშებოდა.

— უუთი, ჩემი სანთლების უუთა... ძლივს ამოიკვნე-
სა მისაკამ და შესაბრალისათ დაუწეო ცქერა გარშემორ-
ტემულ ხალხს.

— ნუ გემინიან, ნუ, აქა გაქვს, აქა, არ დაგეპარგე-
ბა! და დაანახეს უუთი. მისაკომ მადლობით ვადახედა.

— ვაიმე, რამდენი დამფანტვია! წამოიძახა ტირილით
მისაკომ, როცა თვალი მოჭერა ხალხის ფეხ ქვეშ გასრე-
სილ სანთლებს, რომელნიც მხოლოთ ჰატრუქებათ-ლა ექა-
რენ და დანარჩენი თოვლის ნაფლეთებივით აქა-იქ მო-
ფანტულიუმენ.

შოლიციელებმა ხელში აეგანილი მისაკო ეტლში ჩა-
სვეს და საავათმეოფოსებენ წაივანეს. ხალხი გაიჯანტა და
მოედანი ისევ განთავისუფლდა: ქუჩის ცოცხალშა ნაკადუ-
ლმა ჩვეულებრივ იწეო დენა.

საავათმეოფოსი მოეგანილი მისაკო ეჭიმებმა გაშინ-
ჯეს და აღმოჩნდა, რომ ფეხი კოჭში მოსტესოდა.

დამის თერთმეტი საათი ხდება. ჩუღურეთის ერთ და-
ბალ სართულში, ჸატარა ბნელ ოთახში, ჯერ კიდევ სანა-
თი არ გამქრალა, ხალისა დაგებულ ტახტზე დგას ჸა-
ტარა გადლის უუთი და უუთზე დაბალი ჸატარა ლამფა.
ქვე ასლოს ზის მუხლებ მოკეცილი მოხუცებული ქალი,



თავშალის წევრები უკან კეფაზე გადუკეცნაა, ცხვირზე მუ-
შებ დანტვრეული სათვალეები წამოუწევია და ჩაფიქრებუ-
ლი წინდას ქსოვს. უოველ ხმაურობაზე წარბების აწევით,
სათვალეების ზევიდან, კარებისკენ გაიცემირება. ეტუობა ვი-
ზაცას მოელის.

— მინ...მინ...მინ.—გაისმა კედლის საათის ხმა.

— ერთი...ორი... დაიწეო თვლა მოხუცმა და ორნაც
ქსოვს.

— ქა, თერთმეტი! გაიკვირვა და უურს არ დაუჯერა. სათვალეები შებლზე აიწია და საათს შესედა.

— თერთმეტი საათი! შეა დამე გამხდარა... სად იქ-
ნება აქნობამდის... მერე საი დაულეველც წავიდა ის გა-
სახარელი! თქვა მოხუცებულმა, წინდა იქვე მიაგდო, ად-
გა, ჩუსტებში ფეხები ჩადგა და სამოქარს სელი მიადო.

— ესეც გაციებულა! თქვა და თავშალის სწორებით,
ჩუსტების ფშრატი-ფშრუტით ქუჩის კარისკენ გასწია. ქუ-
ჩაში უსაქმოთ მოლაქლაქე დედაკაცების გუნდი უკვე მი-
ფანტ-მოფანტულიყო. დარჩენილიყო კიდევ რამდენიმე.

— ქა, რა ვქნა, თქვენი ჭირიმე, რომ ი ჩემი ბიჭი
აქნობამდის არსებ ჩანს? — მიუბრუნდა მოხუცი კედლის
მირას ჩამოსკუპებულ დედაკაცების. ამათაც თავისებური
ნუგეში მისცეს.

ის იუო მახაკას ბებია. დედ-მამა უმაწვილს სრულე-
ბით არ ახსოვდა, მისაკა კურ კიდევ ოთხის წლის არ

იქნებოდა, ოოცა მას დედა მოუკვდა ჭლექით, და ოო-
გორც ამბობენ ეს სიჭლექე მას ძველი ტანსაცმელიდან
გადაედოვო; ოდგან იმდენი შეძლება არ ჭრონდა ოომ
ახლები ეუიღნა, სულ ძველებით გამოდიოდა. არც მა-
მას, ოომელიც სტალონბით არჩენდა ოჯახს, უცხოვრია
დიდ ხანს ცოლის სიკვდილს შეძლებ. უზომო შრომამ,
ნესტიანმა სარდაფებმა მალე დასძალეს მისა, მაგრა ბუ-
ნება. ერთ წელს შეძლებ ესეც მიასვენეს სასაფლაოზე.
დარჩა პატარა მიხაკო ობლათ თავის დიდიდების ამარა. სამ-
კვიდროთაც ბევრი არა დაუტოვარა მიხაკას მამამ. დაზეა
და სადურგლო იარადები, აი მისი სამკვიდრო, მაგრამ
ჯერ რამი გამოადგებოდენ ისინი მიხაკას. ბებიამ მალე
მიუიდ-მოუიდა ნახევრ ფასათ და ფულათ უქცია. ბებია ჯერ
კიდევ უოჩალათ იუო. შეეძლო კიდევ შრომა. ზოგან სა-
რეცხსით, ზოგან საკერავით და სამსახურით, ზოგანაც ქსო-
ვით იღებდა ორიოდ გროშს და იოლათ გამოჭებვდა თა-
ვისი თავიც და პატარა მიხაკაც. ამასობაში მიხაკაც მო-
იზარდა, სწავლის ღროც დადგა, ბებია იქით მიდგა, აქეთ
მოდგა და საფულში ერთ მადლიან მოსწავლეს (მო-
რეულ ნათესავათ მოხვდებოდა) მიხაკა თან გააუთლა სი-
ფელში და წერა-კითხვა ასწავლებინა და იმ შემოდგომა-
ზედევ ერთ ნაცნობ მეწარმებლესთან შეგირდათ მიაბარა.
აქ მიხაკამ თავისი სერხიანი ქცევით, სიმართლით
შეაუვარა თავი თავის ბატონს და მალე საჩუქარივით ჯა-

მაგირიც დაუნიშნა. მიხაკომ გაითქვა სახელი საქონელზე და მუძღვარზე ფსიჩლათ თვალის დაჭერაში, წასელა-მოსვლაში და გაგზავნ-გამოგზავნაში, სიმართლით ფულის აღებ-ჩაბარებაში, ამიტომ მეზობელ მოგაჭრებმა და-უწეს გულის აცრუება უფროსზე და სამაგიეროთ ჭრიდებოდენ მეტ ჯამაგირს თუ მათთან დადგებოდა. ამას უფროსი მალე მიუხვდა და დასამშევიდებლათ მან თვი-ოონ დაუნიშნა ნამდვილი ჯამაგირი და ამით დაქმაჟოუი-ლდა მიხაკოც, მაგრამ მეზობლები თავისას არ იძლიდენ.

ახლა კი მიხაკოც მიხვდა ვაჭრობას და ოაღაც აზ-რი ჩაებეჭდა თავში, ოომელაც მოსვენებას აღარ აძლევ-და. ლამე უღროვო-ღროს გამოეღვიძებოდა და ძილი უფრ-თხებოდა ხოლმე. ლოგინში შამფურივით ტრიალი მალე შენი-შნა ბებიამ და ეკითხებოდა მიზეზს. მიხაკო ჯერ უარობდა და დიდედას არას უმეღავნებდა, ბოლოს გამოუტედა, ოომ-თვითოონ უნდოდა საკუთრათ ვაჭრობის დაწეება. თანხა ესაჭიროებოდა და ბებიასთვისაც თხოვნა ვერ გაებერნა. ბებია ჯერ უარზე იდგა, მერე კი დათანხმდა. მიხაკომ მალე გა-კეთებინა დურგალს გულზე ჩამოსაკიდი უუთი, იუიდა სა-წერიმალო: ნემსები, კოჭის მაფები, „შილგები“, სავარ-ცხლები, საპნები და სხვ. და სხვ. საქონელი-ჩაალაგა შიგ და დაიწეო ქალაქის გარე-უბნებში გაჭრობა.

— საწერილმანო, საწერილმანო! შეჭებიროდა მიხაკო ხან ერთი ქუჩის კარებში და ხან მეორეში.

ჰირველ ხანში მაღან გაუმნელდა მიხაკოს ეს ხე-
ლობა, ღილიდან საღამომდის ქუჩების ქარელა და დაუბო-
ლოვებელი „საწვრილმანო“-ს მახილი ღონეს ართმევდა
საცოდავ ბავშს და დაქანცული მლივსდა მოლასლასდებო-
და ხოლმე შინ. ბების საუკერულს ბოლო არ ჰქონდა. მაგრამ
როდესაც ჯიბეს ამოიბერტუავდა და პატარა ჩოთქს მია-
ჩხაკ-მოაჩხაკუნებდა სიხარულით შეხტებ-შემოტრიალდებო-
და, თითქოს მთელი ქვეუანა მისა იუო. ბებია კი სათვა-
ლებებს ზევიდან ეჭვიანათ გადაჰქურებდა და თუმცა სიამო-
ვნების ღიმილი ტუჩებზე გადურებენდა ხოლმე, მაგრამ,
მაინც, კიდევ ჯამაგირზე უოფნას უჩხევდა.

— არა, დედი, ეს ცოტაა, მაგრამ კარგია... ასე თა-
ვისდღეში არ ვამხარებია, როცა ჯამაგირი ამიღია... მერე
თან-და-თან შევეჩევი და მეტს მოვიგებ...

ამ საქმემ ისე გაიტაცა მიხაკო, რომ ბოლოს დადა-
ლულობასაც ვეღარ გრძნობდა. ღამითაც კი რომ შესაძლო
ეოფილიერ საწვრილმანოს ვაჭრობა, მთელი ღამეც იგ-
ლიდა. მაგრამ შეიძლებოდა სხვა რამის გაეიღვა ღამით,
იცოდა, მაგალითათ რომ მეწარმეთა თავის შეგირ-
დებს სანთლებს აუიდვინებენ მეეტლებზე, მიხაკამაც ამას
შოჟკიდა ხელი. დაბრუნდებოდა თუ არა საღამოთი სახლ-
ში, საჩქაროზე დაჭვევდა ჩაის, რომელიც ბებიას უსათუ-
ოთ მზათ უნდა ჰქონდა, ჩამოიგდებდა გულზე „გართო-
ფილის სანთლით“ სავსე თუნუქის უუთს და დაზამებამდის

საჩქაროთ გასწევდა „ბირჟისკენ“, ბებია თუმცა ბევრს.
უშლიდა მაგრამ მიხედა თავისას არ იძლიდა.

აი, ერთი ამ სადამოთავანი იუო, როცა მიხაკოს ეტლისა ფეხზე გადაუარა. ამ დღეს ცოტა უხეიროთ ევაჭრნა და მის გაბრაზებული დაბრუნდა. ცოტა დაგვიანებულიც იუო, ჩაი უფრო დააგვიანებდა და უჩაიოთ წასვლა ამჯობინა, რომ იქნება რაც დღისით დააკლდა, დამე მაინც შეევსო.

ბებიამ ვაისა და ვუიში გაატარა მთელი დამე. დილაზე მეზობლების რჩევით პოლიციაში გამოაცხადა და აյ შეიტეო ეოველისფერი. ელდა ნაკრავი მოხუცი მაშინვე საავათმეოფოსკენ გაექანა. მის ბეზე იმ დღეს აგათმეოფების ნახვა შეიძლებოდა. ბებიას და მიხაკას სიხარულს საჭდებარი არ ჰქონდა, როცა ერთმანეთი ნახეს. მიხაკოსათვის ექიმებს უკვე შეეკრათ ფეხი და ფერ მიხდილი იწვა. ექიმებმა მალე მორჩენის იმედი მისცეს.

ახლახან შევიტეე რომ მიხაკა მორჩენილა, მხოლოთ ცოტათ დაკოჭლებულა. გაჭრობისათვის მაინც თავი არ დაუნებებია, მაგრამ მალისნ ფრისილი კი გამხდარა. ვისაც მისი ნახვა ვინდათ, გადით გვირა დღეს იარ-მუკაში და უსათუოთ შეხვდებით, ის ისევ საწერიმალოს ჰქიდის. მას უუთში საწერ-კალამი, ფორტის ქაღალდი და კონფერტებიც აქვს და თუ გსურთ მალიან იაფათ იყიდით.

ისიც გადმომცეს რომ სადამ-სადამობით თავის ბებიას პატარა დუქნის გაღებაზე ეჭუკჭუკებაო, აჭა თუ რა ქნას ჩვენმა მიხაკამ!..

ნიკო ხუციშეილი.

ნელლო და პატრაში,

(მოთხოვთ უიდის).

I.



რი განუყრელი მეგობარი, ნელლო და პატრაში, სულ
მარტოთ მარტო დარჩენ ქვეყანაზე. ნელლო პატრა
ბაჟში იყო, პატრაში კი—დიდი ძაღლი.

ორივე ერთი ხნის იყვნ, თუმცა ერთი ჯერ
სულ ახალგაზდა იყო, მეორე კი—სრულიად დაბე-
რებული; მთელი სიცოცხლე ერთათ გაატარეს, ორივე ობლები— ისინი
ერთმა და იმავე აღამიანმა გაზარდა; იმ დღიდან დაწყებული, რაც
ერთმანეთი ახსოედათ, ერთმანეთს არ მოშორებან, მათი მეგო-
ბრობა სულ ძლიერდებოდა და ძლიერდებოდა, ისინი სულ უფრო
და უფრო უახლოედებოდენ და უკავშირდებოდენ ერთმანეთს.

ნელლო და პატრაში ქალაქ ანტეერპენისაგან ერთი ვერსის
სიშორეზე ცხოვრობდენ მიყრუებულ სოფელში; ამ სოფელში ოცი-
ოდე გლეხი მოსახლობდა; ამ გლეხების სახლების ფერადი დარაბებით
დამშენებული თეთრი კედლები მხიარულათ ქათქათობდენ ხოლმე
მჭიათ შექვე; სოფელს გარს ერთვა ოქროსფრათ მობიბინე ყანები
და ამწვანებული მინდორ-ველები, მის შუაში კი, ხახსით მოცულ
პატარა გორგაზე, ქარის წისქეილი ატრიალებდა თავის ვეებერთელა
ფრთებს; ოფესლაც მოელი წისქეილი წითლათ ყოფილი შელებილი,
ახლა კი ქარს და აეტრებს საშინლათ გამოეხუნებინათ და თათქმის
ზსოვნაც აღარ დაეტოვებინათ უწინდელი მხიარული ფერის. ფრთებსაც
ისე აქნევდა დაძველებული წისქეილი, თითქო სიბერისაგან დაუძლუ-
რებულაო, მაგრამ მაინც მთელ სოფელს ის წვდებოდა, არც ერთი
გლეხი არაოდეს სხვა წისქეილში არ წაიღებდა თავის საფეხავს. არც
დხეა საყდარში წაეიღოდა წირვის მოსამენათ; ყოველ კვირას მთელი

სოფლის მცხოვრებლები თავს იყრიდენ თავის დაძველებულ ნაცრის-
ფერ ეკვლესიაშა-, რომელიც იმავე ხაესით მოცულ გორაჭე იყო
ავებული წისქვილის პირ და პირ; რაზაც გამოუთქმელი მწუხარებით
გამოისმოდა ხოლმე ყოველ დილას, შუადღისას და საღამოს ამ ეკვ-
ლესის სამრეკლოდან ძველის ძველი დიდი ზარის ხმა.

ეს ხმა უწევდა იმ ღარიბ ქოხსაც სოფლის განაპირას, საღაც-
ნელლო და პატრაში ცხოვრობდენ. ეს ქოხი მოხუც დაასა ცეკუთ-
ენოდა; ერთ დროს დაასი ძალიან ყოჩალი იყო, მაგრამ ერთ ომში
მიიღო მონაწილეობა და იქრდან სულ დასახიჩრებული დაბრუნდა-
სახლში. როცა მას ოთხმოცი წელიწადი შეუსრულდა, ერთათ ერ-
თი გათხოვილი ქალიშვილი გადაეცვალა; თავის მაგიერათ ქალმა-
მოხუც მამას თავისი ორი წლის ვაჟი, ნელლო, დაუტოვა. მთელი
გრძნობა, მთელი სიყვარული, რაც კი დაასის გულში მოიპოვებოდა,
მან პატარა შეილიშვილზე გადაიტანა; დაწყეს ერთათ ცხოვრება
მოხუცმა ბაბუამ და პატარა შეილიშვილმა ღარიბ პატარა ქახში,
რომელსაც გარს კადევ უფრო პატარა ბალი ერტყა. მართალია, ის-
ინი ღარიბები, ძალან ღარიბები იყვნენ, ხშირათ მოხდებოდა, რომ
ერთი ლუკმა პურიც არ მოეპოვებოდათ სახლში, მაგრამ ბაბუა-
შეილიშვილი მანც სრული კმაყოფილი იყვნენ თავისი ბედის და
ღმერთს მპოლოთ ერთს თხოვდენ: რომ პატრაში მათ თავის დღეში
არ მოცილებოდათ. პატრაში მათი ერთათ ერთი სიმდიდრე, ერთათ
ერთი მოსამსახურე, მუშა და მეკობარი, ერთათ ერთი ნუგეში და
იმედი იყო; პატრაში რომ მომკედარიყო ან მათთვის თავი დაენებე-
ბინა - უთუოთ ორივე დაიღუპებოდენ: დაასი თითქმის მთლათ და-
კუტებული იყო, ნელლო კი ჯერ სულ პატარა ბავში.

პატრაში დიდი და მძლავრი, მოყვითალო ფერის ძალლი იყო;
მისი გრძელი და ფართო ყურები ეებერთელა თავის ექით აქეთ-
დაფართხუნობდენ, მისი დიდი მსხვილი ფეხები ცხადათ ამ ტკიცებდენ,
რომ ბევრი მუშაობა შეეძლა. მუშაობაში და მწუხარებაში გაატარესა
მთელი თავისი სიცოცხლე პატრაშის მშობლებმა, მუშაობა და მწუ-

ხარება მოელოდა პატრაშაც, უცაბედათ დასის ხელში რომ არ ჩაერდნილიყო.

წყრომით და ცემით გაზარდა პატრონმა პატრაში; ჯერ ცამეტი თვის არც კი გამხდარიყო, რომ ერთ ავ და უგულო ლოთ მოვაჭრეს ჩაუეარდა ხელში; ეს მოვაჭრე აავსებდა ხოლმე თავის ურეშს ქოთნებით, ქვაბებით და სხვა სპილენძის და თიხის ჭურჭ-ლებით, შეაბამდა შიგ პატრაშს და დილიდან სიღამომდის დაუ-სკენებლათ ათრევინებდა საცოდავ ძალლს ამ მძიმე ტეირთს ერთი ქალაქიდან მეორეში, თითონ კი ზანტათ მიიზღაზნებოდა მის გვე-რდით და ცდილობდა, ყოველ სამიკიტნოში ღვეინის გადაკერა მოე-სწრო. ასე ცხოვრობდა პატრაში მთელ ორ წელიწადს, ერთი წამის პოსევენებაც კი არ ჰქონდა; ბევრჯელ შიოდა, ბევრჯელ წყუროდა, ბევრჯელ ციოდა, მაგრამ ყველაფერს ითმენდა, ითმენდა იმ აუტა-ნელ წყრომას და ცემასაც, რომლითაც მას პატრონი უხვათ აჯი-ლდოვებდა.

ერთხელ პატრაში ჩეეულებრივათ ძლიეს მიათრევდა მძიმეთ დატეირისულ ურეშს მტერიან გზაზე. საშინლათ ცხელოდა; პატრაშის პატრონი ურეშს გეერდით მოსდევდა ჩიბუხის წევით და შეატყობდა. თუ არა, ძალლი ნაბიჯს უკლებსო, მათრახს გადაარტყამდა ზურგზე; ყოველ მათრახის გადაკედაზე ძალლი მთელი თავის დაუძლურებული სხეულით შექრთებოდა ხოლმე; ბოლოს მეტი ველარ შეიძლო; ერთი დღე და ღამე იყო, რაც არაფერი ეჭამა, დილას აქეთ მის პარში. ერთი წვეთი წყალი არ ჩასულიყო. დიდი ძალლი უეცრათ დაბარბა-ცდა, გზაზე გაიშორა და პირზე ქაფი მოადგა.

საწყლათ ეგდო პატრაში მტერიან ქუჩაზე; მზის ცხოველი სხივები უწყალოთ სწვავდენ და დაგავდენ მას, მაგრამ პატრონს მაი-ნც არ ყბრალებოდა, ის გაბრაზებით მიგარდა საცოდავ პირუტყვს და ცდილობდა წამოეუენებინა, ბევრი სწყევლა, ბევრი ურტყა ხან მათრახი და ხან ორივე უეხი, მაგრამ ეერაფერი მოუხერხა; მკვდარსავით უძრავათ ეგდო დიდი ძალლი და ეტყობოდა, აღარც წყევლა და წყრომა ეს-

მოდა, ველარც ვერაფერ ტკივილს გრძნობდა. ვაჭარმა ერთი კიდევ შეუკურთხა ძალლს, ჰერა ფეხი და იქვე გზის პირას ორმოში გადა- ავორა, თითონ კი მის მაგიერათ შეება ურემში და თავის გზას გა- უდგა. მეორე დილას ანტვერპენში ბაზრობა იწყებოდა და ეჩქარე- ბოდა მალე მიეღწია თავის ადგილს. სად ეცალა, რომ მომაკვდავ ძალლისთვის მიეხედნა? ლირდა კი რომ მისი გულისთვის ან დრო, ან ფული დაეკარგა? და ლანძლვა გინებით მიღიოდა მოვაჭრე, ის კი სრულიად ავიწყდებოდა, რომ უბედური ძალლი, რომელიც ახლა ისე საცოდავათ ჰქონდებოდა სულს ორმოში გადაგდებული, მთელი ორი წლის განმაელობაში დაუზარებლათ, გულმოდგინეთ ემსახურებოდა მას.

II.

უძრავთ ეგდო პატრაში გზის განაპირას. გზაზე ბევრმა ხალხმა გაიარა, მაგრამ მისთვის ყურადღება არაერთ მიუქცევია, მისთვის არაერთ მოუცლია; ყველა ბაზრობაზე მიეჩქარებოდა. მაგრამ აი, საღლესასწაულოთ მორთულ ხალხს მერე, იმავე ქუჩაზე გამოიარა უძლურმა, წელში მთლათ ერთიანათ მოხრილმა, კოჭლმა მოხუცმა, ღარიბულათ, მაგრამ სუფთათ ჩაცმულმა. ის ნელნელა მოდიოდა გზაზე; პატრაში რომ დაინახა, მოხუცი შეჩერდა და გაკვირვებით მიიხედმოიხედა, მერე ძირს დაუშეა და გულმტკიცნეულათ დათვა- ლიყრა ძალლი; მოხუცს თან ჰყავდა პატრა, ფუნთუშა ლოკებ აწი. თლებული, თმა ხუჭუჭა ვაჟი, რომელიც ჩირგვებიდან გამოიჭირებო- დოდა და თავის შავი თვალები დიდ, უძრავ ოთხფეხისთვის მიეპყრო. ასე შეხედენ პირელათ ერთმანეთს ნელლო და პატრაში. მოხუცმა დასმა ძლიერ ამოათრია საბრალო ძალლი ორმოდან და წაილო სა- ხლში; რამდენსამე კვირას ძალლი ძალიან ავათ იყო, სიკედილს ებრძოდა, მაგრამ მთელ ამ დროს განმაელობაში მას ერთი ავი სი- ტყვა არ გაუგონია, მისთვის ერთხელაც არაერთ დაურტყამს; მას ესმოდა მხოლოთ ბავშის საყვარელი წერიალა ხმა, მას მოფერებით



ეჭებოდა მხოლოთ მოხუცი დასის ხელი. ის ქოხის ერთ კუთხეში დაბინავეს, ჩალის და თიეის ლოგინი გაუკეთეს; ბაბუა-შეილი-შეილი ორივე გულმოდგინეთ უელიდენ და როდესაც პატრაში შორჩა და პირეელათ დაიყეფა, ორივემ შეიარაღეს. აღტაცებულმა პატარა ნელლომ კისერზე უვავილების გვირგვინი ჩამოაცვა ახლათ შეძენილ მეგობარს დი სიყვარულით დაუწყო კოცნა შიგ ცხვირში თავისი პუნტულა წითელი ტუჩებით.



პატრაში თან და თან უკეთ ხდებოდა; ახლა ის მოსევნებით იწეა თავის თიეის ლოგინზე და დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს თავისი ახალი პატრონების ყოველ მოძრაობას; მის დიდ ჭკვიან თვალებში დიდ ხანს რაღაცა გაკვირება იხატებოდა, მას თითქო ურ გაეგო, რატომ არ უწყირებოდენ და არ ურტყამდენ ყოველ წამს... მაგრამ მალე გაკვირება სიყვარულათ გადაექცა, ღრმა სიყვარულათ, რომელიც სრულებით დაეპატრირნა მთელ მის არსებას და რომლის-თვისაც მას მთელ თავის სიცოცხლეში არ უდალატნია.

დაასი თავს იმით ირჩენდა, რომ შეძლებული გლეხები მას ყოველ დილას რძეს ატანდენ ანტეერპენში გასაყიდათ; ის პატარა

ურმით წაიღებდა ხოლმე ქოთნებით რძეს, ჩამოატარებდა ანტერაენში, მერე დაბრუნდებოდა და ფულს მიუტანდა რძის პატრონებს: მართალია, ამ ხელობისაგან დიღი შემოსავალი არ ჰქონდა, მაგრამ მას და ნელლოს ცოტაც ჰყოფნილათ. საუბედუროთ ამ უკანასკნელ დროს ეს შრომაც უმნელდებოდა დასს; ხუმრობა კი არ იყო, ოთხმოცდა სამი წელიწადი შეუსრულდა.

ერთ ხანს მთლათ გამოკეთებული პატრაში დაკვირვებით უყურებდა, როგორ მიჰქონდა და მოჰქონდა დასს პატარა ურმით რძის ქოთნები; ბოლოს, ერთ დილას, მოამზადა თუ არა ურემი მოხუცმა, პატრაში საჩქაროთ მიუახლოედა მას, დაუგა ურმის წინ და ანიშნა მოხუცს, მე მზათ გარ, ურემი წავილოო. დასი ჯერ არ დათანხმდა; მას არ უნდოდა ასეთ საძნელო სამუშაოში თავი გაეყოფინებინა ჭკვიანი კეთილი ძალისათვის, მაგრამ პატრაში არ მოეშვა; როცა მიხედა, ჩემი შებმა არ უნდათო, პირი წაატარა ურემს და ისე აპირებდა მის წათრევას; სხვა ლონე არ იყო, დაასმა ძალს სურეილი აუსრულა და მას შემდეგ ყოველ დილას ურემში შებმული პატრაში მხიარულათ მიემგზაერებოდა ხოლმე ანტერაენისაკენ.

ბევრჯელ ლოცავედა ზამთრობით დაასი იმ დღეს, რა დღესაც შომაკედავ დიღ ძალს წაატყდა; რა ე'მეელებოდა ის რომ არ ეპოვნა, როგორლა მოახერხებდა ამ სასტიკ ზამთარში, ამ დიდ თოვლში თავის ხელით ეთრია ურემი? პატრაში კი გულმოდგინეთ მუშაობდა და თავისი ახლანდელი ცხოვრება ნამდეილ სამოთხეთ მიაჩნდა. ან კი რა შედარება იყო უწინდევოთან? უწინ დილიდან სალამომდის. ისეთ საშინელ მქიმე ურემს ათრევდა ხოლმე, თან პატრონი წამ-და-უწუმ უწყალოთ ამათრახებდა, ახლა კი მჩატე პატარა ურემი ჰქონდა სატარებელი, გვერდით კი ყოველ თვის კეთილი შოხუცი მოსდევდა, რომელიც ხშირათ გადუსამდა ხოლმე მოფერებით ხელს მის გრძელ ბანლიან კისერს. მუშაობა პატრაშის ოთხ საათზე უთავდებოდა, მერე კი სრული თავსუფალი იყო; ისეც უხევათ სარგებლობდა ამ თავისუფლებით: ან მზეზე გაწოლილი მთელი საათობით სიამოვნე-

ბით ნებიცობდა და იშმირებოდა, ან ნელლოსთან ერთათ დაუღა-
ლავათ დარბოდა სოფლის აჩე-მარეებში, ამწეანებულ მ.ნდორ-ვე-
ლებზე, ან თავის ტოლ ძალლებთან თაშაშობდა და თავის თავს
სრულ ბედნიერათ გრძნობდა. უწინდელი მისი პატრიარქი ბაზრიბაზე
ჩხუბში მოკლეს, ისე რომ პატრაშს არაერთ ეძებდა, არც საშიში
იყო; რომ ვისმეს უკანვე წაეყვანა.

რამდენსამე წელს შემდეგ მოხუცი დაასი სრულიად და-
კუტდა, დამბლა დაეცა. მაშინ პატარა ექესი წლის ნელლომ
დაიჭირა მისი ადგილი და ახლა ის დადიოდა ბაბუას მაგი-
ერათ ანტერპენზი რძის გასაყიდლათ. შეენიერი ბავში იყო
ეს პატარა ნელლო; ხუჭუჭი ქერა თმა, რომელიც საოცრათ ეხამე-
ბოდა მის ნაზ, მიმზიდეელ სახეს, ლამაზათ ჰქონდა ბეჭებზე დაყრი-
ლი; მისი მუქი დადი თვალები ყოველთვის დაფიქრებით გამოიყუ-
რებოდენ; მხატვერები აღტაცებაში მოღიოდენ, როცა უეცრათ გზა-
ზე პატარა მწვანე ურემში შებმულ დრდ ლამაზ ძალლს და მის გვერ-
დით ჩქარი ნაბიჯით მიმავალ თმა ხუჭუჭი ნაზ ბავშს შეხედებოდენ;
ბავშის სახის წყნარი, მშეიღობიანი, დაფიქრებული, მაგრამ თან რა-
ღაც ბედნიერი გამომეტყველება მათ დიდი მხატვარი-ჩუბენსია ნა-
ხატებს ავონებდა; ხშირათ ისინი კიდეც შეაჩერებდენ ხოლმე ნელ-
ლოს და პატრაშს და სიამოვნებით ხატავდენ მათ სურათებს თავის
სამეზაერო რევულებში.

როდესაც ნელლო და პატრაში სახლში ბრუნდებოდენ, დაასი
მათ ყოველთვის აივაზე დაუხედებოდა ხოლმე; პატრაში მხიარუ-
ლი ყევით და კუდის ქნევით განთავისუფლდებოდა თავის ტერთა-
საგან, ნელლო კი ამაყათ უყვებოდა ბაბუას, რაც კი რამ ენახა ან
შემთხვეოდა იმ დღეს; მერე ყველა საღილათ დასხდებოდენ; მართა-
ლია, მათი საღილი მარტო შევი პური და რძისაგან ან რამე წევნი-
საგან შედგებოდა, მაგრამ მაინც სამივე ძალიან მხიარულათ შეექ-
ცეოდენ; საღამოს, როცა აჩე-მარეზე ჩამობნელდებოდა, სამივე წე-



ნარათ წვებოდენ დასაძინებლათ; ამ დროს მოხუცი დაბალი ხმით ლოცვებს კითხულობდა.

ასე გადიოდენ დღეები, გადიოდენ წლები. ნელლო და პატრიაში თავს ხედნიერათ თვლიდენ.

განსაკუთრებით ბეღნიერები იყვენ გაზაფხულობით და ზაფხულობით; წყლების ნაპირას, ლერწმებს შორის, მაშინ აუარებელი სხვა-
და. სხვა გვარი, ფერადი ყვავილები იშლებოდენ; მათ უყვარდათ ან
ამ ყვავილებში, ან დიდ ჩრდილოიან ხეებს ქვეშ გდება და კოტრიალი,
უყვარდათ წყალზე მიმავალ-მომავალ ნაეების თვალ-ყურის დევნება,
უყვარდათ ერთათ სიჩბილი ტრიალ მინდორში, თვალგაღუწვდენელ
ველებზე... მართალია, ზამთრობით ხან და ხან ცუდათ გრძნობდენ
თავს; ძალიან უძნელდებოდათ სიცივეში და სიბრელეში დილას აღრწ-
ადგომა; იშეიათათ შეხედებოდათ ისეთი დღე, რომ სრულიად გამა-
ძლარნი ყოფილიყვენ; მათ პატარა ქოხში, რომელიც ზაფხულობით,
ყურძნის ვაზებით დამშენებული, ძალიან ლამაზი იყო, ზამთრის
გრძელ ღამეებში ძალიან ციოდა, რადგანაც ქარი თავისუფლათ
შემოზუზნებდა დიდ ჯუჯრუტანებში; ხან და ხან ისე ციოდა, რომ
იატაკზე დაქცეული წყალი სულ მთლათ იყინებოდა; გზაში ნელლოს
ფეხები სიცივისაგან სულ უშეშდებოდა, პატარაშის მძლავრი თათე-
ბი კი ხშირათ დასისხლიანებულიც იყვენ, მაგრამ არც ბაეში და
არც ძალლი ზამთარშიაც არ ენდუროდენ თავის ბედს; ბაეშის ხის
ფეხსაცმელები და ძალლის დიდი თათები მაინც დაუდალავათ მირ-
ზოდენ გაყინულ გზაზე და თუ რომელიმე გულკეთილი დისახლი-
სი ანტერპერში მათ ცოტა პურს და წვერს უთავაზებდა, ან ეინმე
გულ უხევი ვაჭარი და ცარიელებულ ურემში ორიოდე შეშის ჯირკს
ჩაუგდებდა, ან კიდევ რომელიმე გულმტკეცნებული გლეხის ცოლი
ცოტა რძეს უსაგძლებდა — მაშინ კიდევ უფრო მხიარულათ მობა-
კუნებდენ თეთრათ გაღაპენტილ მთლათ გაყინულ გზაზე ერთი წყვი-
ლი პატარა ფეხი და ორი წაკვილი დიდი თათი, მაშინ ალტაკებუ-



ნელლო და პატრიში

ლი ყვირილით შევარდებოდენ ხოლმე პატრა ბავში და დიდი ძალი ბაბუა დაასთან სახლში.

პო, კარგათ, ბედნიერათ ცხოვრობდენ პატრაში და ნელლო, როდესაც პატრაში გზაზე შეეყრებოდა სხვა საცოდავ ძალებს, რომლებიც დიღიდან სალამომდის დაუსვენებლათ მუშაობდენ და რომლებსაც ჯილდოთ პატრონისაგან ცემა-ტყების მეტი არა ჰქონდათ რა—მაშინ ის თავის თავს უსაზღვრო ბეღნიერათ გრძნობდა და თავის ბედის სრული კმაყოფილი იყო.

ქა. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)



ନାନାନା.

(ପ୍ରମଲଙ୍ଘନ ପଦ୍ମିନୀ ଗ୍ରନ୍ଥ)



ନାନିନା, ନାନା, ନାନିନା,
ନାନାନ, ଶ୍ଵିଳିଲ, ନାନାନ!

ଓ ଯେତୁ ଗ୍ରୂପରେ ମହାରଜେଣାତ,
ମାନ୍ଦ୍ରେତେତ ଏହି ଦେଖୁଯାନାନ;
କେମି ଲାଲପାଦ ଏବଂ କୁରିତକେବା
ଗର୍ଭସର୍ପରେ ମାରାଦିଲି ତାନାନ
ନାନିନା, ନାନା, ନାନିନା,
ନାନାନ, ଶ୍ଵିଳିଲ ନାନାନ!

ନୁଲାରୁ ଶ୍ଵେତତାଙ୍ଗ, ଧାମଶ୍ଵିଲଦି
ଏବଂ ତୁମ୍ଭିଲାତ ଧାଇଦିନ୍ଦେଇ!
ଏ ଧାଗକୁର୍ରୁ ସାନ୍ଦନାତା,
ଗାରିଦି ଦେଖି ଧାଗିତିନ୍ଦେଇ;
ଅନ୍ତରେଇ କଥିବେ ଶାମିଲ
ଶିଖିଲକେବିଲ ଗାମନଗର୍ଭନାନ
ନାନିନା, ନାନା, ନାନିନା,
ନାନାନ, ଶ୍ଵିଳିଲ, ନାନାନ!



გაიზარდე და გაივსე,
 ვით გაბადროული მთვარეო;
 მტერს დაუყენე თვალები,
 მოყვარე გაახარეო;
 გამარჯვებული ვიდოდე
 ყოველთვის ყოველგანაო —
 ნანინა, ნანა, ნანინა,
 ნანაო, შვილო, ნანაო!

არ დაივიწყო არას დროს
 შენი სამშობლო მხარეო;
 სიცოცხლის საგნათ ის გქონდეს,
 შეიტკბე შეიყვარეო;
 სხვაგან სიცილსა გერჩიოს
 ტირილი იმასთანაო —
 ნანინა, ნანა, ნანინა,
 ნანაო, შვილო, ნანაო!

ჩემი სურვილი ეს არის:
 ღმერთს ვთხოვ, მოვესწრო იმ დღესო,
 რომ ვიწონებდე თავს შენით,
 უყლა მე შემნატრიდესო;
 რომ არ ჰყოლოდეს არავის
 ჯერ შვილი შენისთანაო —
 ნანინა, ნანა, ნანინა,
 ნანაო, შვილო, ნანაო!..

ღურუ შეგრება.

საპვირველი უმარვილი.



იდი ხანია მას აქეთ, რაც ერთ პატარა
 სოფელში მოსკოვის ქალაქის მახლო-
 ბლათ უმაწვილები სალდათობია ს-
 თამაშობდენ. მაგრამ ეს თამაში სხვა
 ბავშვების თამაშს არა ჰგავდა. პირვე-
 ლი ეს ომ მრიელ ბევრი უმაწვილები
 იღებდენ მონაწილეობას, მეორე, იმ
 ბავშვებში ზოგი მრიელ ლამაზი და დი-
 დი კაცის შვილები იუგნ, ზოგი უბ-
 რალთ მუშა ხალხის შვილები. ამას
 გარდა უველანი ერთნაირათ — სალდა-
 თურათ იუგნ ჩატმული და ისე ემორ-
 ჩილებოდენ თავის უფროს უმაწვილს,
 ომ სწორეთ ნამდვილი სალდათები გეგონებოდათ.

უფროსათ ერთი ქერა და ლამაზი უმაწვილი აერჩიათ.
 ეს ბავშვი ცხრა წლისა თუ იქნებოდა, მეტი არა, მაგრამ
 ისეთი გაბედვით და ცოდნით ავარჯიშებდა პატარა სალ-
 დათებს, ნამდვილი ღენერალი გეგონებოდათ. ამას ვარდა,
 ოცა ვისმეს შეცდომა მოუგიდოდა, პატარა ღენერალი კა
 სილებს უთავაზებდა და თან დარიგებასაც აძლევდა. სა-



ბრძალო პატარა სალდათები მეტს ვერაფერს ბეჭდვდენ; — გამოიჭიმებოდენ და გაიმახოდენ: „სლუშაოუსო“.

პატარა ღენერალი ხშირათ თავის პატარა ჯარს ორათ გაჭირდა ხოლმე და ერთმანეთს დააძირებდა. ორივე მხარეს თავ-თავის უფროსების დაუნიშნავდა. ერთი მხარე, ვითომც, მოსული მტრის ჯარი იქო და ოომელიმე დანიშნული ციხე უნდა აედო; მეორე მხარეს კი ის დანიშნული ციხე უნდა დაეცეა. ოომელი მხარეც გაიმარჯვებდა, პატარა ღენერალისაგან მაღლობასა და ქებას მიიღებდა.

ასე იქო გართული თამამობაში ეს პატარების ჯარი უოგელ დღეს. ოცა თამაში გათავდებოდა, პატარა უფრო სი ბრძანებას გასცემდა, რა დროს უნდა შეკრებილიერენ. მეორე დღეს და ასე დაითხოვდა ემაწვილებს. შემდეგ პატარა დაღალული ღენერალი თავის სახლში მიდიოდა. მისი სახლი დიდი არ იქო, მაგრამ ისე კარგათ და ხელოვნურათ იქო აშენებული, სამდგილ მეფის სასახლეს მოგავრნებდათ. ავიდოდა თუ არა ემაწვილი აიგანზე, წინ შავებით შემოსილი დედა მოეგებებოდა, გადაეხვეოდა თავის საუკარელ შეილს, ჩირკავდა გულში, მოწმენდდა გაოფლიანებულ სახეს, ჰქოცნიდა და ისე ეალერსებოდა, მაგრამ ხშირათ ამ ალერსის ღროს საუკედურსაც ეუბნებოდა:

— რა იკლავ, შეილო, გენაცვალოს დედა, თავს? არა დაგემართოს რა; შენს მეტი ვინა მეავს. ჩვენი მტრები არ გაახარო!

— არა მიშავს რა, დედი! — უნდა გენახა დღეს ჩემი
ჰატარა სალდათები, როგორ უოჩადათ ასრულებდენ ჩემს
ბრძანებას! ასე გეგონებოდა, ნამდვილი სალდათებიაო!

ეს ჰატარა უმაწვილი რუსეთის მეფის ალექსის უნ-
ცორისი ვაჟი, ჰეტრე, იუო. მავებში დედა-კაცი მისი
დედა ნატალია ნარიმებინისა.¹⁾

ჰეტრე უნცორისი ვაჟი იუო ალექსი მეფისა და
ამიტომ მას დიდ უურადღებას არავინ აქცევდა. საუბედუ-
როთ მამაც მალე მოუკვდა. მეფეთ უფროსი მმა თეოდორე
დაჯდა. თეოდორეს მეფობის დროს სასახლეში მისი დე-
დის ნათესავები, მილოსლაველები, ფარფაშობდენ და ნა-
ტალია და მისი ჰატარა ვაჟი ჰეტრე მემულებული ჰქეავ-
დათ. ამიტომაც ნატალიამ მიატოვა მოსკოვის ქალაქი,
სადაც მამან რუსეთის მეფე ცხოვრებდა, და ერთ მახლო-
ბელ სოფელში გადასახლდა. აქ ჰატარა ჰეტრეს დედის
მეტი ჰატონი არავინ ჰქეავდა. მაგრამ დედა უსწავლელი
იუო და შვილს რას ასწავლიდა. საზოგადოთ იმ დროს,
როცა ჰეტრე ცხოვრებდა, მეფის შვილებს რუსეთში ბევრის
არას ასწავლიდენ, რადგანაც იქ განათლება ჯერ არ იუო
მემოლებული.

ჰეტრე რომ წამოიზარდა და სწავლის დრო დაუდგა,
მიჰევარეს მასწავლებლათ ვიღაც ზოტოვი, რომელსაც წე-
რა-კითხვა უნდა ესწავლება ბავშისათვის, მაგრამ ზოტოვ-

¹⁾ ნატალა მეორე ცოლი იუო ალექსი მეფისა.



მა ბევრი არა იცოდარა და ამას გარდა ლოთიც ბრძანდებოდა. ცხადია, ბევრის ვერას შეიძენდა მისგან ჰეტრე.

მაგრამ ჰეტრე საკუთრებული უმაწვილი იუო და თავის ნიჭი აღრე გამოიჩინა. როგორც უკელა უმაწვილს, ჰეტრეს თამაშობა ძრიელ უკარდა. სოფელში იგი თავისუფლათ ცხოვრობდა და არავინ არას უძლიდა მას. თუმცა მეფის შვილი იუო, მაგრამ მთელი დღე მინდორში იუო, წმინდა ჭარზე და იქ ვარჯიშობდა თავის პატარა ამხანაგებთან, როგორც ზემოთ დავინახეთ.

ამას გარდა, პატარა ჰეტრემ ერთხელ, როცა თავის პაპის ძველ ნივთებს შინჯავდა, ერთი პატარა ძველი გმი ნახა. ძრიელ ეუცხოვა და გამოიკითხა მისი მნიშვნელობა. ერთმა მისმა ნაცნობმა ციმერმანმა აუხსნა მისი ხმარება. ჰეტრემ მაშინვე მოანახვია ოსტატი ბრანტი, რომელიც გოლანდიელი იუო, შეაკეთებია ეს ძვილი გემი, ჩაუშებ ერთ პატარა ტბაში და დაუწეო ცურაობა აქეთიქეთ. ეს ვარჯიშობა ისე მოეწონა მას, რომ იმავე ბრანტს გააკეთებინა რამდენიმე ახალი პატარა გემი, ჩაცურა ჰერეიასლავის დიდ ტბაში და ამგვარათ შექმნა სათამაშო ფლოტი.

რადგანაც შესაფერი მასწავლებლები არა ჭუავდა პატარა ჰეტრეს, მან თვითონ მონახა და გაიჩინა მასწავლებლები. იმ დროს მოსკოვის მასლობლათ იუვენ დასასლებული საზღვარგარეთიდან მოსული ნემეცები, რომლების

ცხოვრება ბევრათ განიტეოდა მაშინდელი რუსების ცხოვრებისაგან; ჰეტრემ გაიცნო ზოგიერთი მათვანი და ხშირათ დადიოდა მათ ოჯახებში. ჰეტრეს ძრიელ უკვარდა მათთან უოფნა და მათი ლაპარაკის უურის გდება. იქ გაიცნო მან კოლანდიელი ციმერმანი, რომლისაგანაც ისწავლა ანგარიში და გეოპეტრია; კიდევ მოტლანდიელი გორდონი, რომელიც სამსედოო საქმეებს უხსნიდა და აკრეთვე ჟენეველი მხიარული ლეფორტი, რომელსაც ძრიელ დაუმეგობრდა. ისინი დაწვრილებით უამბობდენ ჰეტრეს უველაფერს ევროპიელი ხალხების განათლების შესახებ, აღტაცებაში მოჰქენდათ ეს საკურველი უმაწვილი და თანდა-თან უდივიმებდენ მას ცნობის მოუვარეობას და ცოდნის წუურვილს. ჰეტრეს აღემრა გულში სურვილი როგორმე წასულიერ თვითონ საზღვარგარეო, თავის თვალით ენახა განათლებული ხალხის ცხოვრება და ხომალდების გაკეთებაც ძევსიწავლა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ძეუძლებელი იუო მისთვის.

ჰეტრე რომ ათი წლისა გახდა, მეფე თეოდორე გარდაცვალა უმვილო. ტახტი მეორე უფროს მას ითანეს უნდა რვებოდა. მაგრამ ითანე უძლური უმაწვილი იუო და ამიტომ ხალხს თვალი ჰეტრესაკენ ეჭირა და მართლაც ის აირჩიეს მეფეთ.

ითანეს არა სწერნია ეს ამბავი, მაგრამ მისი დედის ნათესავები ძრიელ უკმაყოფილოთ იუვნ. უკ-

ლაზე უფრო იოანნეს უფროს დას სოფიოს ეწეინა. ეს ახალგაზდა ქალი, მრიელ ნიჭიერი, ნასწავლი და ბატონობის მოვარე იუო. ჰუკირობდა, ჩემი მმა იოანნე იქნება მეფეთ და, რაკი იგი სუსტი და უნიჭოა, მე ჩავიგდებ უფროსობას სელშიო. მაგრამ ჰეტრეს ამორჩევამ ერთიანათ ფრთები შეაკვეცა სოფიოს ოცნებობას. მეტი გზა არ იუო, ისეთი რამ საძუალება უნდა ეხმარა, რომ ჰეტრეს ბატონობა თავიდან აემორებია და მართლაც შეუდგა საქმეს.

დაუახლოვდა ზოგიერთ ღიღ კაცებს, მოისუიდა სასახლის ჯარის კაცები და გაავრცელა ხმა, რომ მის მმას იოანნეს უსამართლოთ წაართვეს ტახტი. დანიშნულ ღღეს ჯარი აჯანდა მოსკოვში, დახოცეს ჰეტრეს მომხრე კაცები და სამი ღღე არეულობა არ შემწედა. ეს აჯანება მითი გათავდა, რომ მეფეებათ ორივე მმები, ჰეტრე და იოანნე, აღიარეს, ხოლო, რადგანაც ჰეტრე პატარა იუო, სახელმწიფოს მმართველათ თვით სოფიო დანიშნეს. ამგვარათ აღუარეულდა სოფიოს წადილი.

სოფიო რომ სახელმწიფოს მართავდა, იოანნე არა-ვერ საქმეში არ ერეოდა. ჰეტრეც თავის სოფელში ცხოვრებდა და იქ ვარჯიშობდა. მაგრამ მისი გამჭრიახობა, ნიჭიერება და ეოჩადობა სოფიოს მოსკენებას არ აძლევდა. ადრევე გრძნობდა, რომ მალე მას ჰეტრე ტახტიდან ჩამოაბრძანებდა. ამიტომ სულ იმის ფიქრში იუო, რაიმე

აეტეხა მისთვის. ჰეტრეც თვალ-ურს ადევნებდა სოფიოს
მოქმედებას, ძრიელ უკმაყოფილო იქ, მაგრამ ჭერ-ჭე-
რობით ითმენდა.

ერთ დღეს ლიტანია იქთ მოსკოვში. სოფიო და ბე-
ტრიუც სობოროში იუვენ. წირვის შემდეგ ლიტანია დაწეული.
სოფიოს სურდა ხალხს გაჭიოლოდა, მავრამ ბეტრემ დაუძა-
ლა, ოოგორც ემაწვილ ქალს არ შეგვერობსო. სოფიომ
უურადღებაც არ მიაქცია მას რჩევას. ბეტრეს ეს ეწეინა,
დანება თავი ლიტანიას და თავის სოფელში წავიდა.

ამას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა. რომ სოფიომ
და მისმა მეცობრებმა გადასწუვიტეს ჰეტრეს მოკვლა. სა-
ქმე ასე დაწეს: ერთ დამეს იმ სოფელში, სადაც ჰეტ-
რე ცხოვრებდა, ცეცხლი უნდა გაეჩინათ შენობებისათვის
და, როცა ჰეტრე მოვიდოდა, უნდა მოეკლათ.

მაგრამ სწორეთ იმ დამეს, სანამ ჩეცხლი გაჩნდებოდა, მოსკოვიდან მოიჭრა არი ცხენოსანი ჯარის კაცი, გააღვიძეს ზეტრე და შეატეობინეს სოფიოს განზრახვა. ზეტრე ავარდა ლოგინიდან, ზერანგის ამარა შეიჭრა ტექში და იქ დაიძალა. ტანისამოსი რომ მიუტანე', მოახტა შეუკაზმავ ცხენს და გასწია სამების მინასტერში. ამ მონასტრობის სამოცი ვერსტი მეტი იუო. მთელი დაბე დაუსვენებლათ აჭერებდა ცხენს და გათენებისას ძლიერს მიაღწია დაქანცულმა უმაწვილმა. სამების მონასტერს ვარშემომავალი ქვიტკირის კედელი ჰქონდა შემოვლებული და

ამიტომ იქ ადარბეგისი შიძი ჰქონდა პეტრეს. მეორე დღეს პეტრეს დედა და სხვა მისი ერთგული უმებიც მოვიდენ. მონასტერში.

აქედან პეტრემ აფრინა კაცი მოსკოვში და ბრძანება-
გაგზავნა, დაუკავშირდებულივ გამოცხადებულიუკენ მასთან კა-
რის კაცები და მათი უფროსები. უარის თქმა ვეღარავინ-
გაბედა. სოფიო მიატოვეს მისმა მეგობრებმა. ახლა კი
დაინახა სოფიომ, რომ საქმე ცუდათ იუთ და პეტრესთან
შერიგება მოინდომა. მაგრამ პეტრემ ახლოსაც არ მიიკა-
რა მისი მოციქულები. ისინი, ვინც სოფიოს შეელოდენ-
პეტრეს წინააღმდეგ, პეტრემ სიკვდილით დასაჯა. სოფი-
ოც მალათ მონაზენათ აჭერეც და ერთ მონასტერში და-
ამწუდია.

ეს ამბავი მოხდა 1789 წელს და ამ დროდან დაიწ-
ეო პეტრეს საკუთარი მეფობა. მისი უმლური მმა ითან-
ნე სრულიად არ ერეოდა სახელმწიფო საქმეებში და რამ-
დენსამე წელს შემდეგ კიდეც გადაიცვალა.

რაკი ამგვარათ არაფერი უმღიდა ხელს ახლა პეტრემ
მოინდომა თავისი დიდი ხნის სურვილის შესრულება. მოემზადა დასაფლეთ ეფროპაში წასასვლელათ, იქაური-
ხალხის ცხოვრების შესასწავლათ, მაგრა იყი რომ ისე
წასულიუო, როგორც რუსეთის მეფე, უოველგან დიდი
ამბით დახვდებოდენ და სწავლისთვის დრო ადარ დარ-
ჩებოდა, ამიტომაც აი რა მოახერხა: გამოაწეო სახლებრ

გარეთ გასაგზავნით ეჭჩები და თვითონაც ამ ელჩთა შორის ჩაეწერა, როგორც ერთი უბრძლო აზნაური, რომ არავის ეცნო; სახელათაც ბეტრე მისაილოვი დაირქვა.



პ ე ტ რ ე დ ი დ ი.

რომელ ქალაქშიაც-კი მივიღოდენ ელჩები, ბეტრე მაშინვე ციხეების და ქარსნების დათვალიერებას შეუდგებოდა და, რაც-კი რამ შესანიშნავი და სასარგებლო იუო,



ესების გულმოდგინეთ შინჯავდა და ითვისებდა. მა-
გრამ რაღვანაც ელჩები მრიელ დინჯათ მოგზაურობდენ
ერთი სახელმწიფოდან მეორემდის, ცნობის მოუკარეობით
გატაცებულ პეტრეს გულმა აღარ მოუთმინა, დაწინაურდა
და კოლან დიაში ამოჭეო თავი, სადაც მაშინ საუკეთესო
ხომალდების აკეთებდენ. ამსტერდამის ქალაქში რომ მივადა,
დაიჭირა პატარა სადგომი ²⁾, ჩაეწერა უბრალო მუმათ,
ჩაიცემა ხუროს ტანისამოსი, აიღო იარაღები და იწეო
ვერცხე ³⁾ მუშაობა. კარგა ხანს მუშაობდა და სწავლობ-
და ხომალდის კეთებას. თუმც იგი ისე ცხოვრებდა და
ატარებდა დოს, როგორც სხვა იქაური უბრალო მუმა,
მაგრამ მაინც გაიგეს იქაურმა მცხოვრებლებმა, რომ ის
მადალი და ლამაზი მუმა თვით რუსეთის მეფე იუო, და
იმოდენი ხალხი იურიდა თავს მის სანახავათ, რომ მო-
სვენებას აღარ აძლევდენ. მოაბეჭრეს თავი. პეტრეც გა-
ვაკავრდა, დაანება თავი ამსტერდამს და საარდამის ქალაქში
წავიდა; იქაც კარგა ხანს მუშაობდა. საარდამიდან ლონ-
დონში წავიდა, ლონდონიდან — ვენაში, აქედან ვენეციაში
აპირებდა წასვლას, მაგრამ იმ დოს ისეთი ამბავი შიი-
ღო რუსეთიდან, რომ საჩქაროთ დაბრუნდა თავის სასელ-
მწიფოში.

პეტრე რომ სამშობლოში დაბრუნდა, მაშინვე შეუდგა


²⁾ ის სადგომი შემდეგ რუსის მთავრობაში იყიდა და დღესაც და-
ცული აქვთ სასსოფლოთ.

³⁾ კერთვი იმ ადგილსა ჰქონან, სადაც სომიადებებს აშენებუნ.

რუსეთის მკელ წესების შეცვლას და ახალის შემოღებას. თავის სიცოცხლეში სულ იმასა ცდილობდა შემოეტანა თავის ხალხის ცხოვრებაში უცელაფერი, რაც-კი ნახა და მოეწონა მოგზაურობის დროს. ამ საქმეს იგი ისე მხნეთ შეუდგა, რომ, თუმც ბევრს არ მოსწონდა მის-გან შემოღებული ახალი წესები და ხელს უძლიდენ, მაგრამ მან უოველივე დაბრკოლება დასძლია და ისეთ წარმატების გზაზე დაავენა თავისი ხალხი, რომ მას აქეთ რუსეთი სულ წინ მიდის. თავის ხალხის ბეჭნიერებისა-თვის იგი არც თავის თავს ზოგივე და არც არა თავის სხვას. ამას გარდა მან ბევრი მტრები დაამარცხა, გაადი-და თავისი სახელმწიფო და ოფიციალური „იშტერატორის“ (მეფეთა მეფის) სახელი დაიმსახურა.

1725 წელში ერთხელ პეტრემ დაინახა, რომ ზღვის ზირათ სალდათები იხრჩობოდენ. მიემველა, გადახრა წეალ-ში და თუმცა სალდათები გადაარჩენა, მაგრამ თვითონ ისე გაცივდა, რომ ლოგინათ ჩიგარდა და აღარ ამდგარა. სიკვდილს შემდეგ მას უწოდეს „პეტრე დიდი“.

გ. წყალტუბელი.





გველი ს ა გ ე რ ძ ნ ე თ ი.

(ზღაპრული ამბავი).

შარისის და მენელაის ბრძოლა.



ეომრების ამისთანა გამხნევებით ისარგებლეს უფროსებმა და საომრათ მზადება დაიწყეს. ალამებნონმა ღმერთებს მსხვერპლი შესწირა. ამას შემდევ ჯარი სარდლების წინამძღოლობით მტრისკენ გაემართა. ტროადელებმაც მოუყარეს თავი და ჯარს და გექტორის უფროსობით ბერძნების შემოსაგებებლათ წამოეიდენ. ბერძნების უფროსები ერთი მხრიდან და ტროადელების უფროსები მეორედან ეტლებით ჯარებს წინ მიუძღვდენ; იმათ უკან მისდევდენ გროვა-გროვათ უბრალო მეომრები, მტრები ერთმანეთს დაუახლოედენ. ტროადელების მხრიდან გამოეიდა პარისი და პირისპირ საომრათ იწვევდა ბერძნების უკელაზე გულადს და ლორიერ ვაჟკაცს. გაიგონა თუ არა მენელაიმ პარისის ძახილი, სიხარულით გამოეიდა ბერძნების რიგიდან; იმედი ჰქონდა რომ თავის შეურაცხ-მყოფელს მოერეოდა და სამაგიეროს გაღუბდიდა. პარისმა დაინარა თუ არა თავის წინ მრისხანე მენელაი, შეშინდა და ტროადელების გუნდში შეიმალა; მაგრამ გექტორმა შეარცეინა, და პარისი ისევ გამობრუნდა. მაშინ გექტორი გამოეიდა ორ მოსისხლე ჯარს შუა და ხმა მალლა წარმოთქეა: „მოისმინეთ, ტროადელნო და ბერძნებო. პარისს უნდა პირის-პირ ბრძოლით გაათავოს მენელაისთან ომი. ამათში ვინც გამარჯვებული დაჩჩეს, ელენე და თან მოყოლილი სიმღიდრე იმას ერგოს. მათი ბრძოლის შემდეგ ზევკრათ ზაერ და მევკაბრობით გაეთავოთ საქმე“. ეს პირობა უკელამ მიიღო. იმის

ნიშნათ, რომ პირობა შესრულებული იქნებოდა, ღმერთებს მსხვერ-
 პლი შესწირეს, და დაწყევლეს ეინც პირობას ულალატებდა. ამას
 შემდეგ გექტორმა და ოდისეიმ გაზომეს საბრძოლი აფგილი. გექ-
 ტორმა, თავის მუზარადში თრი კენჭი ჩაგდო და დააჯდრია. პირ-
 ველი პარისის კენჭი ამივარდა და იმას უნდა დაეწყო ბრძოლა. ბერ-
 ძებისა და ტროადელების მეომრები გაზე გადგენ, ჩაარჭეს შუბე-
 ბი მიწაში და ფარებს დაეყრდნ, ყველა ბრძოლის საყურებლათ
 მოემზადა. ტროას ერთ-ერთ კოშკზე გადმომდგარიყვენ პარიში კარის
 კაცებით და გულის ფანტალით მოელოდენ ბრძოლის დაწყებას.
 იმათში ელენეც ერია. პარიშმა და მენელაიმ თავთავისი აფგილი და-
 იჭირეს და ბრძოლა დაწყო. პირველათ პარიშმა ესროლა მენელაის
 შუბი; მაგრამ შუბის წვერი მენელაის მაგარ ჩაჩქანზე მოიკავა. მა-
